In healthcare, ChatGPT has many benefits that can improve the diagnostic and treatment process. The increasing use of artificial intelligence applications in clinical practice requires solving ethical problems. The aim of the paper is to study the ethical implications of ChatGPT in the field of healthcare, considering legal, humanistic, algorithmic and informational ethics. Legal ethics problems arise from inappropriate allocation of responsibility when patient harm and privacy are violated due to data collection. Clear rules and legal boundaries are needed to properly allocate responsibility and protect consumers. The problem of humanistic ethics arises from the violation of the doctor-patient relationship, humanistic service and issues of honesty. Overreliance on artificial intelligence can undermine patient empathy and trust. The transparency and openness of the content created by artificial intelligence is of crucial importance for the prevention of this. Algorithmic ethics raises challenges of algorithmic bias, accountability, transparency, and explainability. Information ethics includes data bias, validity, and effectiveness. Biased data may lead to biased results, and overreliance on ChatGPT may reduce patient adherence and encourage self-diagnosis. To ensure the accuracy and reliability of the content generated by ChatGPT, rigorous validation and continuous updates based on clinical practice are required. To navigate AI in the ever-changing ethical environment, AI in healthcare must adhere to the strictest ethical standards. Through comprehensive ethical guidelines, healthcare professionals can ensure responsible use of ChatGPT, facilitate the exchange of accurate and reliable information, protect patient privacy, and empower patients to make informed decisions about their health.

KEYWORDS: Artificial intelligence, Chatbot, Healthcare, Privacy, Licensing, Regulation

შესავალი

ხელოვნური ინტელექტი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობა, რთული ალგორითმების გამოყენებით შეასრულოს ისეთი ფუნქციები, რომლებიც ადამიანის ინტელექტთან ასოცირდება. დღევანდელი ეპოქა, რომელსაც უწოდებენ მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქას, ხასიათდება უდიდესი ტექნოლოგიური მოვლენით – ხელოვნური ინტელექტის როლის ზრდით. ხელოვნური ინტელექტი გახდა პოპულარული არამხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ თანდათანობით დაინერგა ყოველდღიური ცხოვრების მრავალ სფეროში. შემუშავდა ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა სახეობა, როგორებიცაა: ანალიტიკური, ფუნქციური, ინტერაქტიული, ტექსტური და ვიზუალური, რომლებიც მიზნად ისახავენ რეალურ სამყაროში არსებული პრობლემების გადაჭრას.

ხელოვნური ინტელექტი და მისი რთული ალგორითმები უფრო და უფრო ხშირად ჩნდება მრავალ პრაქტიკულ აპლიკაციაში, მათ შორის, ჯანდაცვის სექტორში და გვთავაზობენ ახალ შესაძლებლობებს დიაგნოსტიკურ და სამკურნალო სფეროებში. რამდენიმე წლის წინ, კორონავირუსულმა პანდემიამ დააჩქარა ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების განვითარება ჯანდაცვის სფეროში, რადგან ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულმა ტექნოლოგიებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა პანდემიის მსოფლიო ჯანდაცვის კრიზისში.

2022 წლის ნოემბერში OpenAI-მ წარმოადგინა ხელოვნურ ინტელექტზე და-

ფუძნებული დიდი ენობრივი მოდელი, რომელიც მოიცავდა მრავალ ენაზე მონაცემთა დიდ ტექსტურ ნაკრებს და ჰქონდა ტექსტის შეყვანაზე ადამიანის მსგავსი პასუხების გენერირების უნარი, ე.წ. ChatGPT. ChatGPT (Chat Generative Pretrained Transformer) არის ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტი, რომელსაც შეუძლია ამოცანების შესრულება ადამიანის მიერ გენერირებული ტექსტის უზარმაზარი რაოდენობის წაკითხვით. მას აქვს დიდი რაოდენობით ინფორმაციაზე წვდომისა და ანალიზის უნარი, რაც საშუალებას აძლევს მაღალი სიზუსტით შექმნას ტექსტი. მოსახერხებელი ინტერფეისის მეშვეობით ChatGPT გადაიქცა აკადემიური წერის სასურველ ინსტრუმენტად და მოიპოვა მნიშვნელოვანი პოპულარობა მომხმარებლებში. მიუხედავად იმისა, რომ ChatGPT ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაშია, მისი უახლესი ვერსია GPT-4 გამოირჩევა ტექსტის დამუშავების შესაძლებლობებისა და გამოსახულების ანალიზის თვალსაზრისით და აქვს „კრეატიულობის“ მაღალი ხარისხი.

კვლევები აჩვენებენ, რომ ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის გამოყენებას აქვს უამრავი სარგებელი, განსაკუთრებით დიაგნოსტიკის სფეროში.¹ ChatGPT-ის ინოვაციურ ხელსაწყოებს შეუძლიათ გააუმჯობესონ დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცესი დიფერენციალური დიაგნოსტიკის მეშვეობით, დაავადების რისკისა და შედეგების პროგნოზირებით, პაციენტების ცხოვრების წესსა და პრეფერენციებზე ადაპტირებული ჯანდაცვის გეგმების მორგებით, ახალი მედიკამენტების აღმოჩენის გაუმჯობესებით, ან თუნდაც ძუძუს

1 ნამორაძე, ე., 2024. მედიცინის სფეროში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 8 (1). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://heconomic.cu.edu.ge/index.php/healthecosoc/article/view/7915>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

კიბოს სკრინინგისთვის საჭირო ვიზუალიზაციის ეტაპების განსაზღვრით.² გარდა ამისა, ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ChatGPT-ს აქვს პოტენციალი, შეამციროს ექიმების სამუშაო საათები, ხოლო დარჩენილი დროის ფოკუსირება მოახდინონ მედიცინის სხვა უფრო კრეატიულ ნაწილზე.

კლინიკურ პრაქტიკაში ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების მზარდი გამოყენება სრულიად ცვლის მედიცინას. ჩნდება ახალი ეთიკური საკითხები. მკვლევარები ადასტურებენ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის დანერგვასთან ჯანდაცვის სფეროში,³ მათ შორის: 1) პაციენტის დაზიანება ხელოვნური ინტელექტის შეცდომების გამო, 2) ხელოვნური ინტელექტის სამედიცინო ინსტრუმენტების არასათანადო გამოყენება, 3) ხელოვნური ინტელექტის მიკერძოება, 4) გამჭვირვალობის ნაკლებობა, 5) კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების საკითხები, 6) ანგარიშვალდებულების ხარვეზები და 7) დანერგვის ბარიერები.

აღნიშნული რისკების საპროფილაქტიკოდ აუცილებელია ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი მექანიზმების ჩამოყალიბება. ამ მიზნით, 2021 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შესაბამისი სახელმძღვანელო „ხელოვნური ინტელექტის ეთიკა და მმართველობა ჯანმრთელობისთვის“,⁴ სადაც ჩამოყალიბე-

ბულია ექვსი ფუნდამენტურ-ეთიკური პრინციპი, რომლებიც უნდა არეგულირებდნენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ჯანდაცვის სფეროში.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის ეთიკური შედეგების შესწავლა იურიდიული, ჰუმანისტური, ალგორითმული და საინფორმაციო ეთიკის გათვალისწინებით. ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარების გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რაციონალური მიდგომის მიღებას, რომელიც აბალანსებს ამ პროგრესთან დაკავშირებულ სარგებელსა და რისკს.

1 სამართლებრივი ეთიკა

ჯანდაცვის სფეროში გასათვალისწინებელია ChatGPT-ის გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ეთიკა. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი არსებითი ფაქტორები: სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა იმ შემთხვევებში, როდესაც ChatGPT-ის რჩევები იწვევს ზიანს ან უარყოფით შედეგებს; პაციენტის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება და შენახვა; და ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის ლიცენზირებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობა ChatGPT კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვისას.

2 ვერულავა, თ., 2024. ხელოვნური ინტელექტის როლი სამედიცინო მომსახურების განვითარებაში – ჯანდაცვის სისტემის კონტექსტი. ეკონომიკური პროფილი, 19, 1 (27). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://economicprofile.org/article/1374>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

3 Muley, A., Muzumdar, P., Kurian, G. and Basyal, G.P., 2023. Risk of AI in Healthcare: A Comprehensive Literature Review and Study Framework. Asian Journal of Medicine and Health, 21(10), გვ. 278. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.9734/ajmah/2023/v21i10903>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

4 WHO, 2021. Ethics and governance of artificial intelligence for health. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.who.int/publications/i/item/9789240029200>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

1.1. სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ChatGPT-ის პოტენციური არაადეკვატური სამედიცინო კონსულტაციების გაცემისას იწვევს მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტს არ გააჩნია ადამიანის მსგავსი იურიდიული სტატუსი. თუმცა, სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა იმ შემთხვევებში, როდესაც პაციენტი ზიანდება, შეიძლება გახდეს პრობლემური საკითხი. ჩნდება კითხვა, ვინ უნდა აგოს პასუხი? – პაციენტმა, საავადმყოფომ თუ ხელოვნურმა ინტელექტმა. გაურკვევლობა ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოებისა და გაიდლაინების აუცილებლობას, რათა მკაფიოდ განისაზღვროს პასუხისმგებლობა ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად გადაიდგა ნაბიჯები და მიიღეს უსაფრთხოების სტანდარტები, გამოყენების ინსტრუქციები და ძირითადი კანონქვემდებარე აქტები, ასევე განისაზღვრა სიტუაციები, სადაც ChatGPT-ის გამოყენება აკრძალულია. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არცერთი ეს ღონისძიება არ არის სავალდებულო.

ChatGPT-ის გახსნილობა ყველა დარეგისტრირებულ მომხმარებელს შეუზღუდავი წვდომის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი ცალსახად უარყოფს ნებისმიერ პასუხისმგებლობას გენერირებულ ტექსტებზე. შესაბამისად, როგორც ჩანს, ნებისმიერი შეცდომის ტვირთი ეკისრება მხოლოდ მომხმარებელს. ჩნდება კითხვა, არა-

ზუსტი ან შეუსაბამო რჩევით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში თუ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობის სწორად გადანაწილებისა და მომხმარებლების დასაცავად საჭიროა მკაფიო რეგულაციები და სამართლებრივი შეზღუდვები. ასეთმა რეგულაციებმა და კანონებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებას სახელმძღვანელოს შექმნასა და ჯანდაცვის პროვაიდერების და სხვა დაინტერესებული მხარეების სამართლებრივი ვალდებულებების დადგენაში.⁵

1.2. კონფიდენციალურობის საკითხები

ჯანდაცვის სექტორში ChatGPT-ის გამოყენებისას კონფიდენციალურობის საკითხები მნიშვნელოვანი ასპექტია. პაციენტის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და დამუშავება წარმოქმნის კონფიდენციალურობის მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი პრობლემა დაკავშირებულია არასანქცირებული წვდომის ან მონაცემთა გაჟონვის შესაძლებლობასთან. ვინაიდან ChatGPT ურთიერთქმედებს პაციენტებთან და ჯანდაცვის პროვაიდერებთან, მას შეუძლია შეაგროვოს და შეინახოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პირადი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს სამედიცინო ისტორიას, ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებს, დიაგნოზებს და სხვა კონფიდენციალურ მონაცემებს.

5 Ryan, M. and Stahl, B.C., 2021. Artificial intelligence ethics guidelines for developers and users: clarifying their content and normative implications. *Journal of Information, Communication and Ethics in Society*, 19 (1), გვ. 61. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.1108/JICES-12-2019-0138>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

ამ ინფორმაციის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პაციენტის კონფიდენციალურობის დასაცავად და ამ კუთხით მოქმედი რეგულაციების შესასრულებლად.⁶

კონფიდენციალურობის კიდევ ერთი პრობლემაა ხელახალი იდენტიფიკაციის რისკი. მაშინაც კი, თუ ChatGPT-ის მიერ შეგროვებული მონაცემები დეიდენტიფიცირებულია, მაინც არსებობს პიროვნებების ხელახალი იდენტიფიცირების ალბათობა მათი სხვა ხელმისაწვდომ მონაცემთა წყაროებთან კომბინირებით. ხელახალი იდენტიფიკაციის პრევენცია მოითხოვს ანონიმიზაციის ძლიერ ტექნიკას და წვდომის მკაცრ კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული მონაცემების არავტორიზებული დაკავშირება.

ასევე აუცილებელია მონაცემთა გამოყენების გამჭვირვალობა. პაციენტები უნდა იყვნენ ინფორმირებული, რომ მათ მონაცემებს გამოიყენებს ChatGPT და მათ უნდა მიეცეთ ინფორმირებული თანხმობის გაცემის შესაძლებლობა. უნდა არსებობდეს მკაფიო და გასაგები კონფიდენციალურობის პოლიტიკა.⁷

ChatGPT-ის ფუნქციების გაფართოებამ, როგორცაცა: ბუნებრივი ენის დამუშავება და მანქანური სწავლება, შეიძლება გამოიწვიოს კონფიდენციალურობის რისკი. მოდელმა შეიძლება უნებლიეთ გამოავლინოს კონფიდენციალური ინფორმაცია ან მოგვცეს არაზუსტი პასუხები, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პაციენტის კონფიდენციალურობას ან კეთილდღეობას. სისტემის მუშაობის და მონაცემთა დამუშავების მეთოდების რეგულარული მონიტორინგი და აუდიტი აუცილებელია

ნებისმიერი კონფიდენციალურობის პრობლემის მოსაგვარებლად.

კონფიდენციალურობის რისკების შესამცირებლად ჯანდაცვის ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ უსაფრთხოების მკაცრი ზომები, მათ შორის დაშიფვრა, წვდომის კონტროლი და დაუცველობის რეგულარული შეფასება. ამისათვის საჭიროა მონაცემთა მართვის ჩარჩოს შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონფიდენციალურობის წესების დაცვა და ხელი შეუწყოს მონაცემთა პასუხისმგებლობით დამუშავების პრაქტიკას. კონფიდენციალურობის საიმედო დაცვის უზრუნველყოფით და ChatGPT-ის გამოყენებისას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვის ორგანიზაციებს შეუძლიათ მაქსიმალურად გაზარდონ ხელოვნური ინტელექტის სარგებელი და დაიცვან პაციენტის კონფიდენციალურობა და ნდობა.

1.3. ლიცენზირება და რეგულაციები

იმის გათვალისწინებით, რომ ChatGPT ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტია, რომელიც ურთიერთქმედებს პაციენტებთან და უზრუნველყოფს სამედიცინო რჩევებსა თუ მხარდაჭერას, აუცილებელია ლიცენზირებისა და მკაცრი რეგულაციების დანერგვა. ეს შეიძლება დაეხმაროს ChatGPT-ის გამოყენებას ჯანდაცვის სფეროში, დააკმაყოფილოს შესაბამისი მარეგულირებელი და სალიცენზიო მოთხოვნები, რათა უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება, ეთიკური სტა-

6 Li, J., 2023. Security Implications of AI Chatbots in Health Care. J Med Internet Res, 25, e47551. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.jmir.org/2023/1/e47551/>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

7 Haltaufderheide, J. and Ranisch, R., 2024. The ethics of ChatGPT in medicine and healthcare: a systematic review on Large Language Models (LLMs). npj Digit. Med., 7, 183. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.1038/s41746-024-01157-x>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

ნდარტები და სამართლებრივი შესაბამისობა.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც იყენებენ ან ეყრდნობიან ChatGPT-ს, სჭირდებათ ლიცენზია და კონკრეტული რეგულაციების დაცვა, რომლებიც არეგულირებს მათ პრაქტიკას. ეს რეგულაციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მეშვეობით მოწოდებული ჯანდაცვის სერვისები აკმაყოფილებდეს მომსახურებისა და პროფესიონალიზმის აუცილებელ სტანდარტებს. გარდა ამისა, ჯანდაცვის მარეგულირებელი ორგანოები საჭიროებენ გაიდლაინების შექმნას, რომლებიც ეხება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ჯანდაცვის სფეროში. ეს გაიდლაინები შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტის სიზუსტე და სანდოობა, ინფორმირებული თანხმობა და ჯანდაცვის პროფესიონალების როლები და პასუხისმგებლობები ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების (მაგ., ChatGPT) გამოყენებისას.⁸ აუცილებელია მოქნილი რეგულაციების შემუშავება ხელოვნური ინტელექტის ეფექტური სარგებლობის უზრუნველსაყოფად. ხისტი ან არასრული რეგულაციები შეიძლება იყოს საზიანო და შეიძლება შეაფერხოს ხელოვნური ინტელექტის განვითარება. ხელოვნური ინტელექტის ამჟამინდელი სამართლებრივი მარეგულირებელი ბაზა ჯერ კიდევ განვითარების ფაზაშია უფრო მკაცრი

ზედამხედველობის მექანიზმების შესაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა დანერგა კონფიდენციალურობის დებულებები, საკმარისი რეგულაციების ნაკლებობა კვლავ პრობლემად რჩება.⁹

გარდაამისა, შეიძლება საჭირო გახდეს ChatGPT-ის გამოყენების შესაფასებლად მარეგულირებელი ზედამხედველობა. მარეგულირებლებს შეუძლიათ შეაფასონ ხელოვნური ინტელექტის სისტემები, როგორებიცაა: ChatGPT, უსაფრთხოება, ეფექტურობა და შესრულება, სანამ ისინი განთავსდებიან კლინიკურ გარემოში. შეფასების ეს პროცესი გვეხმარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს და არ წარმოადგენს ზედმეტ რისკებს პაციენტებისთვის ან ჯანდაცვის პროვაიდერებისთვის.

2. ჰუმანისტური ეთიკა

ჰუმანისტური ეთიკა უნდა წარმართავდეს ChatGPT-ის გამოყენებას ჯანდაცვის სფეროში, რომლითაც ხაზს უნდა უსვამდეს ადამიანზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობას, ექიმი-პაციენტის ურთიერთობის პატივისცემას და პაციენტებთან პატიოსან ქცევას. ჯანდაცვის პროფესიონალებს შეუძლიათ ისარგებლონ ChatGPT-ით, თანაგრძნობის, ემპათიის და პერსონალიზებული ზრუნვის ძირითადი ღირებულებების დაცვით. ჰუმანისტური ეთიკა ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის გამოყენებით მოიცავს ისეთ ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა: ჰუ-

8 Wang, C. and others, 2023. Ethical Considerations of Using ChatGPT in Health Care. J Med Internet Res., 11;25:e48009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.jmir.org/2023/1/e48009/>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

9 Murdoch, B., 2021. Privacy and artificial intelligence: challenges for protecting health information in a new era. BMC Med Ethics, 15; 22 (1), გვ. 122. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bmcmethics.biomedcentral.com/articles/10.1186/s12910-021-00687-3>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

მანური ზრუნვა, ექიმ-პაციენტის ურთიერთობის პატივისცემა და კეთილსინდისიერება.

2.1. ჰუმანისტური ზრუნვა

ჰუმანისტური ეთიკა ხაზს უსვამს თანაგრძნობით და ინდივიდუალური მოვლის მნიშვნელობას. ChatGPT-ის გამოყენებისას ჯანდაცვის პროფესიონალებმა პრიორიტეტად უნდა მიიჩნიონ პაციენტების კეთილდღეობა და ემოციური მოთხოვნები, დარწმუნდნენ, რომ მათი მოვლა მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული რეკომენდაციებით არ არის განპირობებული. ჰუმანისტური ზრუნვა მოიცავს ემპათიური მხარდაჭერის შეთავაზებას, პაციენტების აქტიურ მონაწილეობას და მკურნალობის გეგმების მორგებას მათი უნიკალური გარემოებების ყოვლისმომცველი გაგების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ChatGPT-ს შეუძლია ეფექტური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, მას არ გააჩნია ადამიანთან შეხების და თანაგრძნობის უნარი, რომელიც გადამწყვეტია ჯანდაცვის სფეროში¹⁰. ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა გაითვალისწინონ პაციენტების ემოციური საჭიროებები და უზრუნველყონ, რომ ChatGPT-ის ჩართვა ძირს არ უთხრის თანაგრძნობით ზრუნვას და პაციენტის საერთო გამოცდილებას.¹¹

2.2. ექიმ-პაციენტის ურთიერთობა

ჰუმანისტური ეთიკა ხაზს უსვამს ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის მნიშვნელობას, როგორც ჯანდაცვის ცენტრალურ კომპონენტს. ChatGPT-ის გამოყენებისას ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ხელოვნური ინტელექტის არსებობა კითხვის ქვეშ არ აყენებდეს ამ ურთიერთობას. ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა გამოიყენონ ChatGPT, როგორც ინსტრუმენტი, რათა აამაღლონ თავიანთი კომპეტენცია, დაეხმარონ გადაწყვეტილების მიღებაში და ხელი შეუწყონ კომუნიკაციას, იმავდროულად, შეინარჩუნონ ადამიანური კავშირი და ნდობა, რომლებიც ეფუძნება ეფექტიან ჯანდაცვას.

2.3. პატიოსნება

პატიოსნება ითვლება ფუნდამენტურ ეთიკურ პრინციპად ჯანდაცვის სფეროში. ჰუმანისტური ეთიკა ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის გამოყენებით უნდა მოიცავდეს პატიოსნების შენარჩუნებას. ეს მოიცავს პაციენტის მოვლაში ხელოვნური ინტელექტის ჩართულობის გამჭვირვალე გამოქვეყნებას, ChatGPT-ის შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ზუსტ წარმოდგენას და სამედიცინო ინფორმაციის გადაცემისას პატიოსნებისა და სიზუსტის შენარჩუნებას. ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული რეკომენდაციები ეფუძნება მტკიცებულებებზე

10 SeyedAlinaghi, S., Mirzapour, P. and Mehraeen, E., 2024. ChatGPT in Healthcare Writing: Advantages and Limitations. *Healthc Inform Res.*, 30 (4). გვ. 418. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC11570662/>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

11 Neha, F., Bhati, D., Shukla, D. K. and Amiruzzaman, M., 2024. ChatGPT: Transforming Healthcare with AI. *AI*, 5(4), 2624. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.3390/ai5040126>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

დაფუძნებულ მედიცინას და შეესაბამება დადგენილ კლინიკურ გაიდლაინებს.

ადამიანური ზრუნვის, ექიმი-პაციენტის ურთიერთობის და პათოსნების შენარჩუნებით, ჯანდაცვის პროფესიონალებს შეუძლიათ გაეცნონ ChatGPT-ის გამოყენების ეთიკურ შედეგებს ჯანდაცვის სფეროში, ხელი შეუწყონ პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვას, თანაგრძნობას და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას პასუხისმგებლობით და ეთიკური გზით.¹²

3. ალგორითმული ეთიკა

ალგორითმული ეთიკა ჯანდაცვის სფეროში, ChatGPT-ის გამოყენებისას, მოითხოვს ჯანდაცვის პროფესიონალებისა და ორგანიზაციების მიერ ეთიკური პრინციპებისა და გაიდლაინების ფრთხილად გათვალისწინებას. ამას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ChatGPT-ის გამოყენებისთვის ჯანდაცვის სფეროში. ის გულისხმობს ეთიკური შედეგებისა და გამოწვევების მოგვარებას, რომლებიც დაკავშირებულია ChatGPT-ის ალგორითმებისა და ძირითად ტექნოლოგიასთან.

3.1. ალგორითმული მიკერძობა

ალგორითმული მიკერძობა გულისხმობს მიკერძობას, რომელიც წარმოიქმნება პროექტირების, განხორციელების ან გადაწყვეტილების მიღების პროცესების შედეგად თავად ალგორითმებში. ეს ხდება მაშინ, როდესაც ალგორითმები, მიუკერძოებელ მონაცემებზე მომზადების მიუხედავად, ავლენენ მიკერ-

ძობულ ქცევას ან აწარმოებენ დისკრიმინაციულ შედეგებს. ალგორითმული მიკერძობა შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე წყაროდან, მათ შორის მიკერძობული მახასიათებლის შერჩევა, მიკერძობული მოდელის შემუშავება ან მიკერძობული გადაწყვეტილების წესები. მას შეუძლია გააძლიეროს არსებული სოციალური, კულტურული ან ისტორიული მიკერძობა, რამაც გამოიწვიოს უსამართლო მოპყრობა ან დისკრიმინაცია გარკვეული ინდივიდების, ან ჯგუფების მიმართ. არსებითად, მონაცემთა მიკერძობა წარმოიქმნება მიკერძობული მონაცემებიდან, რომლებიც გამოიყენება მოდელის მოსამზადებლად, ხოლო ალგორითმული მიკერძობა გამომდინარეობს თავად მოდელის შიგნით მიკერძობული გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან. მონაცემთა მიკერძობამ შეიძლება პირდაპირ წვლილი შეიტანოს ალგორითმულ მიკერძობაში, მაგრამ შესაძლებელია ალგორითმული მიკერძობა მოხდეს თუნდაც მიუკერძობელი სწავლების მონაცემებიდანაც. ამ ალგორითმულმა მიკერძობამ შეიძლება გამოიწვიოს კლინიკური შეცდომები მნიშვნელოვანი შედეგებით. ფართოდ გამოყენებულ ალგორითმებში მცირე მიკერძობებსაც კი შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება არ გაამჟღავნოს დეტალები. ხელოვნური ინტელექტის სისტემაში გამჭვირვალობის ნაკლებობა ხელს უშლის მკვლევარებს შეაფასონ ბოტი და გამოავლინონ პოტენციური ალგორითმული მიკერძობა. ამიტომ აუცილებელია ალგორითმული გამჭვირვალობის მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის სისტემებში, მისი პასუხისმგებლობით გამოყენების

12 Sauerbrei, A., Kerasidou, A., Lucivero, F. and others, 2023. The impact of artificial intelligence on the person-centred, doctor-patient relationship: some problems and solutions. BMC Med Inform Decis Mak 23, 73. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.1186/s12911-023-02162-y>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

უზრუნველსაყოფად ექიმებისა და პაციენტების მიერ. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების მკაცრი ტესტირება და რეგულირება აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად.

3.2. ალგორითმული პასუხისმგებლობა

ChatGPT-ის გამოყენებისას მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება პაციენტებს, ექიმებსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის. პაციენტები იღებენ პასუხისმგებლობას მათ მიერ დასმულ კითხვებზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი სათანადო და აქტუალურია. მეორე მხრივ, ექიმებმა უნდა შეიმეცნონ და გაითავისონ „ავტომატიზაციის მიკერძოება“, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ალგორითმებზე გადაჭარბებულ დამოკიდებულებას. როგორც ალგორითმის შემქმნელი, ხელოვნური ინტელექტი პასუხისმგებელია მის მუშაობაზე. ხელოვნურმა ინტელექტმა უნდა უზრუნველყოს ChatGPT ალგორითმის ავტონომიურობა და სარგებლიანობა პაციენტებისთვის.¹³ პაციენტის დაცვის ანგარიშვალდებულება მკაცრად უნდა იქნას შესრულებული. ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი როლები და პასუხისმგებლობები ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენებისას, როგორცაა ChatGPT.¹⁴

3.3. გამჭვირვალობა და ახსნადობა

გამჭვირვალობა ალგორითმული ეთიკის ფუნდამენტური ასპექტია და ახსნადობა განიხილება, როგორც გამჭვირვალობის კომპონენტი. გამჭვირვალობა ეხება ღიაობას და სიცხადეს, თუ როგორ მოქმედებენ ალგორითმები და ხელოვნური ინტელექტის სისტემები, იღებენ გადაწყვეტილებებს და წარმოქმნიან შედეგებს. გამჭვირვალე ხელოვნური ინტელექტის სისტემა უზრუნველყოფს ღიაობას მის მუშაობაში, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს და დაინტერესებულ მხარეებს გააცნობიერონ ფაქტორები, რომლებიც იწვევს მის შედეგებს. ახსნადობა გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების გასაგებად მიწოდების შესაძლებლობას. ახსნადობა აუცილებელია ჯანდაცვის პროფესიონალებისა და პაციენტებისათვის, რომ ენდონ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს და გააცნობიერონ მათი შედეგების მიზეზები. ალგორითმის ეთიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფით ხელოვნური ინტელექტის სისტემები, როგორცაა ChatGPT, უფრო ანგარიშვალდებული და ახსნადი ხდება. ახსნადობა იძლევა მიკერძოების, შეცდომების ან გაუთვალისწინებელი შედეგების იდენტიფიცირების საშუალებას და ხელს უწყობს მათი ეთიკური შედეგების შეფასებას. გარდა ამისა, გამჭვირვალობა და ახსნადობა ეხმარება მომხმარებლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობისა და მიმდებლობის ჩამოყალიბებას. ალგორითმის გამჭვირვალობა

13 Barstow, C., Shahan, B. and Roberts, M., 2018. Evaluating medical decision-making capacity in practice. *Am. Fam. Physician*, 1; 98 (1). გვ. 44. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30215955/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

14 Björk, J., Lynöe, N. and Juth, N., 2016. Empirical and philosophical analysis of physicians' judgments of medical indications. *Clinical Ethics*. 11 (4). გვ. 195. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC5117119/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

ვირვალობა ჯანდაცვის პროფესიონალებს საშუალებას აძლევს, გაიგონ, თუ როგორ აყალიბებს ChatGPT თავის რეკომენდაციებს და საშუალებას აძლევს მათ, აუხსნან პროცესი პაციენტებს.

3.4. ვალიდაცია და შეფასება

ვალიდაცია და შეფასება ალგორითმული ეთიკის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მისი მეშვეობით მკვლევარები და პრაქტიკოსები აფასებენ ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების შესრულებას, სიზუსტეს და სანდობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ გენერირებული რეკომენდაციების სიზუსტის, სანდობისა და ეფექტურობის შეფასება და მათი შედარება დადგენილ კლინიკურ გაიდლაინებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. აღნიშნული ხელს უწყობს სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას ალგორითმული გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც აუმჯობესებს პაციენტის მომსახურების ხარისხს და შედეგებს.¹⁵

4. ინფორმაციის ეთიკა

ინფორმაციული ეთიკა ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის გამოყენებით მოიცავს მონაცემების პასუხისმგებელ და ეთიკურ დამუშავებას ChatGPT-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის,

ვალიდობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.¹⁶

4.1. მონაცემთა მიკერძოება

მონაცემთა მიკერძოება გულისხმობს მიკერძოების არსებობას სასწავლო მონაცემებში, რომლებიც გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის მოდელების შესაქმნელად, რომლებიც შეიძლება არ წარმოადგენდეს რეალურ სამყაროს ან შეიძლება შეიცავდეს სისტემატურ მიკერძოებას. მონაცემთა მიკერძოებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის სისტემებმა მიიღონ არაზუსტი ან არასამართლიანი პროგნოზები ან გადაწყვეტილებები. ეს მიკერძოება შეიძლება უნებლიეთ იყოს ჩადებული მონაცემებში სხვადასხვა ფაქტორების გამო, როგორებიცაა: შერჩევის მეთოდები, მონაცემთა შეგროვების პროცესები ან მონაცემთა წყაროებში არსებული ადამიანის მიკერძოება. მონაცემთა მიკერძოებულობამ შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ შედეგებამდე და პროგნოზებამდე, რადგან მოდელი სწავლობს მიკერძოებულ მონაცემებს და აგრძელებს იმავე მიკერძოებას თავის შედეგებში. ხელოვნური ინტელექტის სისტემებში, მათ შორის ChatGPT, მონაცემთა მიკერძოება გამოწვეულია მონაცემებით, განსაკუთრებით პარასამედიცინო მკურნალობაში, როგორიცაა მკურნალობის გეგმების შემუშავება.¹⁷ თუ

15 Ueda, D. and others, 2024. Fairness of artificial intelligence in healthcare: review and recommendations. Jpn J Radiol. 42 (1). გვ. 9. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://link.springer.com/article/10.1007/s11604-023-01474-3>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

16 Alhur, AA., 2024. ChatGPT and health informatics: Navigating the future of digital healthcare. World Journal of Biology Pharmacy and Health Sciences, 19 (02), გვ. 113. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.30574/wjbpshs.2024.19.2.0474>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

17 Ferrara, E. 2024. Fairness and Bias in Artificial Intelligence: A Brief Survey of Sources, Impacts, and Mitigation Strategies. Sci, 6 (1), 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.3390/sci6010003>> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

ChatGPT-ისთვის გამოყენებული მონაცემები მიკერძოებულია, ბოტმა შეიძლება უნებლიეთ გააგრძელოს ეს მიკერძოება.

4.2. ChatGPT-ის ვალიდობა

ვალიდობა ეხება ChatGPT-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეს, სანდოობას და შესაბამისობას. ვინაიდან ChatGPT-ის მიერ გენერირებული კონტენტი პირდაპირ გავლენას ახდენს პაციენტების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიზუსტესა და სანდოობას, რათა თავიდან იქნას აცილებული პოტენციური ზიანი ან დეზინფორმაცია.¹⁸ ChatGPT-ის ყოვლისმომცველი ვალიდაცია მიიღწევა მხოლოდ ექსპერტების მიერ მონაცემთა დიდი ნაკრების დეტალური ანოტაციით, რაც გამოიწვევს მართლაც ღირებულ და სანდო მონაცემებს. თუმცა, ChatGPT-ის შემთხვევაში ხელმისაწვდომი წყაროს ინფორმაციის ნაკლებობა ართულებს პასუხების შემოწმებას. შედეგად, ChatGPT-ისთვის საჭირო მექანიკური ვალიდაცია მოითხოვს დიდ დროს და რესურსებს.

გარკვეული შეზღუდული ვალიდაციის მცდელობების მიუხედავად, ChatGPT კვლავ საჭიროებს შეცდომების შემდგომ კორექტირებას. ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის უსაფრთხო და ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მოდელმა გაიაროს კლინიკური

ექსპერტების მიერ ანოტირებული და ექიმების მიერ დამოწმებული მონაცემების მნიშვნელოვანი რაოდენობა.¹⁹ ამ მკაცრი ვალიდაციის პროცესმა შეიძლება გაზარდოს ChatGPT-ის პასუხების სანდოობა, რომელიც საბოლოოდ სარგებელს მოუტანს პაციენტის მომსახურებას.

4.3. ChatGPT-ის ეფექტურობა

ჯანდაცვის სფეროში ChatGPT-ის ეფექტიანობა უკავშირდება ორ ძირითად საკითხს: სიზუსტე და შეზღუდვები.²⁰ სიზუსტე გულისხმობს ChatGPT-ის უნარს შექმნას სწორი და სანდო ინფორმაცია ან პასუხები ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით. შეზღუდვები მოიცავს ChatGPT-ის შესაძლებლობების საზღვრებსა და ნაკლოვანებებს, როგორებიცაა: პოტენციური მიკერძოება, კონტექსტური გაგების ნაკლებობა ან რთული სამედიცინო სცენარების დამუშავების უუნარობა.

პირველ რიგში, ChatGPT-ს აქვს პოტენციური, მიაწოდოს ლოგიკურად თანმიმდევრული, მაგრამ არასწორი პასუხები ან არაზუსტი ინფორმაცია მისგან გამოძვარილი ტექსტის სიზუსტის გაცნობიერებული შეფასების უუნარობის გამო. ამიტომ, კლინიკისტებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე და სრულად არ დაეყრდნონ ChatGPT-ის რჩევებს, ამის ნაცვლად, მათ უნდა აირჩიონ კლინიკურად შესაბამისი ინფორმაცია.

18 Fatima, A. and others, 2024. ChatGPT in medicine: A cross-disciplinary systematic review of ChatGPT's (artificial intelligence) role in research, clinical practice, education, and patient interaction. *Medicine (Baltimore)*. 103 (32), e39250. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/39121303/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

19 Mu, Y. and He, D., 2024. The Potential Applications and Challenges of ChatGPT in the Medical Field. *Int J Gen Med*. 17, 821. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10929156/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

20 Dave, T., Athaluri, S.A. and Singh, S., 2023. ChatGPT in medicine: an overview of its applications, advantages, limitations, future prospects, and ethical considerations. *Front Artif Intell*. 4;6, 1169595. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10192861/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

მეორეც, მისი მონაცემების ბუნებიდან გამომდინარე, ChatGPT-ში ჩართულ ინფორმაცია შეიძლება იყოს არასრულყოფილი. ეს შეზღუდვა ეჭვს აჩენს მის შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს უახლესი და ყოვლისმომცველი ცნობები სამედიცინო კვლევების შესახებ. ამ პრობლემის გადასაჭრელად ChatGPT მუდმივად უნდა განახლდეს კლინიკური პრაქტიკის საჭიროებების შესაბამისად. ChatGPT რაც უფრო დაშორდება გამოგონილ სცენარებს და ფოკუსირდება ჯანდაცვის რეალურ კითხვებზე ეფექტური პასუხების გაცემას, მით შეუძლია გაზარდოს მისი სარგებლიანობა ექიმებისა და პაციენტების დასახმარებლად.²¹

5. დასკვნა

ChatGPT-მა მოიპოვა ფართო პოპულარობა მთელ მსოფლიოში. GPT-4-ის დანერგვით ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია უპრეცედენტო ტემპებით ვითარდება. ეს სწრაფი პროგრესი მიუთითებს იმ მომავალზე, რომლის დროსაც ხელოვნური ინტელექტი აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს ინფორმაციის, მათ შორის ტექსტისა და გამოსახულების დამუშავებაში.

არსებობს შიში, რომ ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს სამედიცინო პროფესიონალებს, თუმცა შიში და ტექნოლოგიური განვითარების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა უსაფუძვლოა. ხელოვნური ინტელექტის გონივრულ გამოყენებას შეუძლია შეამციროს რუტინული, პროცედურული ამოცანების მოცულობა, რომლებიც ექიმებს საშუალებას აძლევს, უფრო მეტად ფოკუსირდნენ კრეატიულობაზე. მექანიკურ სწავლაზე

ფოკუსირების ნაცვლად ექიმებს შეუძლიათ გააუმჯობესონ თავიანთი კრიტიკული აზროვნების უნარები უფრო ფართოდ. ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გახდეს ჯანდაცვის განვითარების მამოძრავებელი ძალა, მაგრამ აუცილებელია მისი მკაცრი ეთიკური მონიტორინგი.

ხელოვნური ინტელექტი ჯანდაცვის სფეროში უნდა იცავდეს უმკაცრეს ეთიკურ სტანდარტებს, რათა უზრუნველყოს ისეთი ფუნდამენტური პრინციპების დაცვა, როგორებიცაა: კეთილგანწყობა, ზიანის არ მიყენება, სამედიცინო პატიოსნება და სამართლიანობა. ყოვლისმომცველმა ეთიკურმა გაიდლაინებმა შეიძლება უზრუნველყოს სამართლებრივი, ეთიკური, ალგორითმული და ინფორმაციული მხარდაჭერა პაციენტებისთვის, ექიმებისთვის და ჯანდაცვის მკვლევებისთვის. ძლიერი ეთიკური ჩარჩოს ჩამოყალიბებით, შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გამოყენება და იმავდროულად ინდივიდების კეთილდღეობის დაცვა. მოსალოდნელია, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მომავლის მედიცინაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი იქნება როგორც ღირებულ ინსტრუმენტი პაციენტის ჯანმრთელობის შედეგების გასაუმჯობესებლად.

21 Tan, S., Xin, X. and Wu, D., 2024. ChatGPT in medicine: prospects and challenges: a review article. *Int J Surg.* 110 (6), 3702. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/38502861/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვერულავა, თ., 2024. ხელოვნური ინტელექტის როლი სამედიცინო მომსახურების განვითარებაში – ჯანდაცვის სისტემის კონტექსტი. ეკონომიკური პროფილი, 19, 1 (27). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://economicprofile.org/article/1374> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
2. ნამორაძე, ე., 2024. მედიცინის სფეროში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 8 (1). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://heconomic.cu.edu.ge/index.php/healthecosoc/article/view/7915> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
3. Alhur, A.A., 2024. ChatGPT and health informatics: Navigating the future of digital healthcare. World Journal of Biology Pharmacy and Health Sciences, 19 (02), 112–117. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://wjbphs.com/sites/default/files/WJBPHS-2024-0474.pdf> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
4. Barstow, C., Shahan, B. and Roberts, M. 2018. Evaluating medical decision-making capacity in practice. Am. Fam. Physician, 1;98 (1): 40-46. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30215955/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
5. Björk, J., Lynöe, N. and Juth, N., 2016. Empirical and philosophical analysis of physicians' judgments of medical indications. Clinical Ethics, 11(4), 190-199. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC5117119/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
6. Dave, T., Athaluri, S.A. and Singh, S., 2023. ChatGPT in medicine: an overview of its applications, advantages, limitations, future prospects, and ethical considerations. Front Artif Intell. 4;6:1169595. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10192861/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
7. Fatima, A. and others, 2024. ChatGPT in medicine: A cross-disciplinary systematic review of ChatGPT's (artificial intelligence) role in research, clinical practice, education, and patient interaction. Medicine (Baltimore). 103(32):e39250. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/39121303/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
8. Ferrara, E. 2024. Fairness and Bias in Artificial Intelligence: A Brief Survey of Sources, Impacts, and Mitigation Strategies. Sci, 6 (1), 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.3390/sci6010003> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
9. Haltaufderheide, J. and Ranisch, R. 2024. The ethics of ChatGPT in medicine and healthcare: a systematic review on Large Language Models (LLMs). npj Digit. Med. 7, 183. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1038/s41746-024-01157-x> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
10. Li, J., 2023. Security Implications of AI Chatbots in Health Care. J Med Internet Res. 28;25: e47551. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.jmir.org/2023/1/e47551/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
11. Mu, Y. and He, D., 2024. The Potential Applications and Challenges of ChatGPT in the Medical Field. Int J Gen Med. 17:817-826. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10929156/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
12. Muley, A., Muzumdar, P., Kurian, G. and Basyal, G. P., 2023. Risk of AI in Healthcare: A Comprehensive Literature Review and Study Framework. Asian Journal of Medicine and Health, 21 (10), 276–291. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.9734/ajmah/2023/v21i10903> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
13. Murdoch, B., 2021. Privacy and artificial intelligence: challenges for protecting health information in a new era. BMC Med Ethics. 15; 22 (1): 122. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bmcmethics.biomedcentral.com/articles/10.1186/s12910-021-00687-3> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
14. Neha, F., Bhati, D., Shukla, D. K. and Amiruzzaman, M., 2024. ChatGPT: Transforming Healthcare with AI. AI, 5(4), 2618-2650. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://>

- doi.org/10.3390/ai5040126 [წვდომის თარიღი 10.11.2024].
15. Ryan, M. and Stahl, B.C., 2021. Artificial intelligence ethics guidelines for developers and users: clarifying their content and normative implications. *Journal of Information, Communication and Ethics in Society*, 19 (1), გვ. 61-86. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1108/JICES-12-2019-0138> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
 16. Sauerbrei, A., and others, 2023. The impact of artificial intelligence on the person-centred, doctor-patient relationship: some problems and solutions. *BMC Med Inform Decis Mak* 23, 73. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1186/s12911-023-02162-y> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
 17. SeyedAlinaghi, S., Mirzapour, P. and Mehraeen, E., 2024. ChatGPT in Healthcare Writing: Advantages and Limitations. *Health Inform Res*. 30 (4): 416-418. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC11570662/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
 18. Tan, S., Xin, X. and Wu, D. 2024. ChatGPT in medicine: prospects and challenges: a review article. *Int J Surg*. 110(6):3701-3706. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/38502861/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
 19. Ueda, D. and others, 2024. Fairness of artificial intelligence in healthcare: review and recommendations. *Jpn J Radiol*. 42(1). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://link.springer.com/article/10.1007/s11604-023-01474-3> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
 20. Wang, C. and others, 2023. Ethical Considerations of Using ChatGPT in Health Care. *J Med Internet Res*. 11;25:e48009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.jmir.org/2023/1/e48009/> [წვდომის თარიღი 10.11.2024].
 21. WHO. 2021. Ethics and governance of artificial intelligence for health. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.who.int/publications/i/item/9789240029200> [წვდომის თარიღი 10.11.2024].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Alhur, AA., 2024. ChatGPT and health informatics: Navigating the future of digital healthcare. *World Journal of Biology Pharmacy and Health Sciences*, 19 (02), 112–117. [Online] available at <https://wjbphs.com/sites/default/files/WJBPHS-2024-0474.pdf> [Accessed 10.11.2024]. (In English)
2. Barstow, C., Shahan, B. and Roberts, M., 2018. Evaluating medical decision-making capacity in practice. *Am. Fam. Physician*, 1; 98 (1): 40-46. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/30215955/> (In English)
3. Björk, J., Lynöe, N. and Juth, N., 2016. Empirical and philosophical analysis of physicians' judgments of medical indications. *Clinical Ethics*. 11 (4), 190-199. [Online] available at <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC5117119/> [Accessed 10.11.2024]. (In English)
4. Dave, T., Athaluri, SA., Singh, S., 2023. ChatGPT in medicine: an overview of its applications, advantages, limitations, future prospects, and ethical considerations. *Front Artif Intell*. 4;6:1169595. [Online] available at <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10192861/> [Accessed 10.11.2024]. (In English)
5. Fatima, A. and others, 2024. ChatGPT in medicine: A cross-disciplinary systematic review of ChatGPT's (artificial intelligence) role in research, clinical practice, education, and patient interaction. *Medicine (Baltimore)*. 103 (32): e39250. [Online] available at <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/39121303/> [Accessed 10.11.2024]. (In English)
6. Ferrara, E., 2024. Fairness and Bias in Artificial Intelligence: A Brief Survey of Sources, Impacts, and Mitigation Strategies. *Sci*, 6 (1), 3. [Online] available at: <https://doi.org/10.3390/sci6010003> [Accessed 10.11.2024]. (In English)
7. Haltaufderheide, J. and Ranisch, R., 2024. The ethics of ChatGPT in medicine and healthcare: a systematic review on Large Language Models (LLMs). *npj Digit. Med*. 7, 183. [Online] available at: <https://doi.org/10.1038/s41746-024->

- 01157-x> [Accessed 10.11.2024]. (In English)
8. Li, J., 2023. Security Implications of AI Chatbots in Health Care. *J Med Internet Res.* 28;25:e47551. [Online] available at: <<https://www.jmir.org/2023/1/e47551/>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 9. Mu, Y. and He, D., 2024. The Potential Applications and Challenges of ChatGPT in the Medical Field. *Int J Gen Med.* 17:817-826. [Online] available at: <<https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC10929156/>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 10. Muley, A., Muzumdar, P., Kurian, G. and Basyal, G. P., 2023. Risk of AI in Healthcare: A Comprehensive Literature Review and Study Framework. *Asian Journal of Medicine and Health,* 21(10), 276–291. [Online] available at: <<https://doi.org/10.9734/ajmah/2023/v21i10903>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 11. Murdoch, B., 2021. Privacy and artificial intelligence: challenges for protecting health information in a new era. *BMC Med Ethics.* 15;22(1):122. [Online] available at: <<https://bmcmethics.biomedcentral.com/articles/10.1186/s12910-021-00687-3>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 12. Namoradze, E., 2024. Implementation of artificial intelligence in the field of medicine. *Health Policy, Economics and Sociology,* 8 (1). available at <<https://heconomic.cu.edu.ge/index.php/healthecosoc/article/view/7915>> [Accessed 10.11.2024]. (In Georgian)
 13. Neha, F., Bhati, D., Shukla, D. K. and Amiruzzaman, M. 2024. ChatGPT: Transforming Healthcare with AI. *AI,* 5(4), 2618-2650. [Online] available at <<https://doi.org/10.3390/ai5040126>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 14. Ryan, M. and Stahl, B.C. 2021. Artificial intelligence ethics guidelines for developers and users: clarifying their content and normative implications. *Journal of Information, Communication and Ethics in Society,* 19 (1), pp. 61-86. [Online] available at <<https://doi.org/10.1108/JICES-12-2019-0138>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 15. Sauerbrei, A. and others, 2023. The impact of artificial intelligence on the person-centred, doctor-patient relationship: some problems and solutions. *BMC Med Inform Decis Mak* 23, 73. [Online] available at: <<https://doi.org/10.1186/s12911-023-02162-y>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 16. SeyedAlinaghi, S., Mirzapour, P. and Mehraeen, E., 2024. ChatGPT in Healthcare Writing: Advantages and Limitations. *Healthc Inform Res.* 30 (4): 416-418. [Online] available at <<https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC11570662/>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 17. Tan, S., Xin, X. and Wu, D., 2024. ChatGPT in medicine: prospects and challenges: a review article. *Int J Surg.* 110 (6): 3701-3706. [Online] available at: <<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/38502861/>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 18. Ueda, D. and others, 2024. Fairness of artificial intelligence in healthcare: review and recommendations. *Jpn J Radiol.* 42 (1). [Online] available at: <<https://link.springer.com/article/10.1007/s11604-023-01474-3>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
 19. Verulava, T., 2024. The role of artificial intelligence in the development of medical services – the context of the health care system. *Economic Profile,* 19, 1 (27). available at <<http://economicprofile.org/article/1374>> [Accessed 10.11.2024]. (In Georgian)
 20. Wang, C. And others, 2023. Ethical Considerations of Using ChatGPT in Health Care. *J Med Internet Res.* 11;25:e48009. [Online] available at: <<https://www.jmir.org/2023/1/e48009/>> [Accessed 10.11.2024]. (In English)
ბაც ზიანს აყენებს მათ სულებს. უფრო მეტიც, გაქვევა დაარღვევს სოკრატეს სამართლიან შეთანხმებას ქალაქ ათენთან, რომ დაემორჩილოს თავის სასჯელს.¹⁷

თუმცა ასეთი პოზიცია იშვიათია. პირიქით, თანამედროვე ფილოსოფია მუდმივად იმას ქადაგებს, რომ თავისუფლება ეს არის ადამიანის ფუნდამენტური ბუნებითი უფლება. ლოკი თვლიდა, რომ ადამიანები იბადებიან ბუნებითი უფლებებით, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებით. ის ამტკიცებდა, რომ ეს უფლებები ფუნდამენტური და განუყოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წართმევა შეუძლებელია.¹⁸ იმანუელ კანტი თვლიდა, რომ თავისუფლება არის ადამიანის ბუნების არსი. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ, ავირჩიოთ საკუთარი მორალური პრინციპები და, რომ მორალურად ვართ პასუხისმგებელი ჩვენს ქმედებებზე.¹⁹ ჯონ სტუარტ მილი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება აუცილებელია ადამიანის კეთილდღეობისთვის. მას სჯეროდა, რომ ინდივიდებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, განახორციელონ საკუთარი ინტერესები და იცხოვრონ ისე, როგორც მათ მიაჩნიათ სწორად, რამდენადაც ისინი ზიანს არ მიაყენებენ სხვებს. მილის უტილიტარიზმის თეორია ემყარება იმ აზრს, რომ ყველაზე დიდი სიკეთე ადამიანების უდიდესი ნაწილისთვის თავისუფლების მიღწევას, კერძოდ, როდესაც ინდივიდები თავისუფალნი არიან, გააკეთონ საკუთარი არჩევანი.²⁰ ებ-

ზისტენცილისტებისთვის ადამიანები არიან იმგვარი არსებები, რომლებსაც შეუძლიათ არჩევანის გაკეთება და, შესაბამისად, შეუძლიათ არჩევანის არ გაკეთება. პარადოქსულად, არჩევანის არ გაკეთებაც არჩევანია. შესაბამისად, ადამიანებისთვის თავისუფლება არის მათი ბუნების განუყოფელი ნაწილი.²¹ თავისუფლების გაგების მსგავსი იდეა საფუძვლად უდევს დასავლურ ფილოსოფიასა და ცივილიზაციას.

კრიმინალიზება იმისი, რაც ასეთი ფუნდამენტურია ადამიანისთვის, არის იმორალური. მსგავსად თავისუფლებისკენ სწრაფვისა, ადამიანის თვითგადარჩენაც არის ფუნდამენტური ადამიანის ბუნებისთვის, ამ მიზეზით აუცილებელი მოგერიება არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. როგორც ტომას ჰობსმა შეაფასა: „არცერთი კანონი არ ავალდებულებს ადამიანს, უარი თქვას საკუთარი თავის გადარჩენაზე და, თუ ვივარაუდებთ, რომ ასეთი კანონი არსებობს და ის სავალდებულო არის, ის ადამიანს აფიქრებინებს, რომ, თუ მე ამას არ ვაკეთებ (კანონს არ დავემორჩილები), ახლავ ვკვდები, გავაკეთებ ამას, ვკვდები შემდეგ, ამიტომ, თუ კანონით აკრძალულ ქმედებას ვაკეთებ, ვიგებ დროს, შესაბამისად, ბუნება აიძულებს მას ქმედებისკენ“.²² თავისუფლების ასეთი ფილოსოფიური გაგება არის საფუძველი გერმანიასა და სხვა ქვეყნებში გავრცელებული ციხიდან გაქცევის დეკრიმინალიზაციის საფუძველი.

17 იხილეთ: Weiss, R., 1998. Socrates Dissatisfied: An Analysis of Plato's Crito. Oxford University Press.

18 იხილეთ. Locke, J., 1999. Two Treaties of Government. Cambridge University Press.

19 იხილეთ. Ware, O., 2023. Kant on Freedom. Cambridge University Press.

20 შეადარე. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker, გვ. 14.

21 იხილეთ. Sartre, J-P., 1957. Being and Nothingness. translated by Hazel Barnes London: Methuen.

22 იხილეთ. Hobbes, T. 2008. Leviathan. Edited by J. C. A. Gaskin. London: Oxford University Press. Chapter VI.

4. საპატიმროდან გაქცევის კრიმინალიზების დაცვის ობიექტები

მიდგომა, რომელიც სისხლის სამართლით დასჯადს ხდის ციხიდან გაქცევას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიკეთეების დაცვას. საქართველოს კანონმდებლობით – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით – კრიმინალიზებულია ციხიდან გაქცევა. სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლის მიხედვით, დავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გაქცევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით – ვადით სამიდან ექვს წლამდე.²³ გაქცევის სამართლებრივი დეფინიცია მოცემულია პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც გაქცევა ეს არის: ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დამცავი ზღუდის გადაკვეთა; ბ) ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიერ მისი გაყვანისას/ გადაყვანისას მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი დაცვის ხაზის გადაკვეთა.²⁴ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის მიხედვით, ნორმის უშუალო დაცვის ობიექტი და სიკეთეები არის პენიტენციური დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება. ნორმა იცავს საზოგადოებას დანაშაულისგან, საგამოძიებო ორგანოთა, სასამართლო-

სა და პენიტენციურების ნორმალურ საქმიანობას, რადგან გაქცევით ხდება მათი ძალების მობილიზაცია ძებნისთვის, ის ასევე ქმნის რეციდივის საშიშროებას და ეჭვს აჩენს საზოგადოებაში სამართალდამცავი ორგანოების უნარიანობაში.²⁵ სანამ შევადარებთ ღირებულებებსა და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ინტერესებს, მნიშვნელოვანია შევაფასოთ თავად ნორმა, იცავს თუ არა დაცვის ობიექტებს.

არგუმენტი, რომ ნორმა იცავს პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, არის სუსტი და გაუმართლებელი. საპატიმრო ნორმალურად ფუნქციონირებს, თუკი ის უზრუნველყოფს ინდივიდთა საზოგადოებისგან იზოლირებას.²⁶ თუკი ინდივიდი თავს აღწევს იზოლაციას, ეს არ ნიშნავს, რომ ის არღვევს ნორმალურ ფუნქციონირებას, არამედ ნორმალური ფუნქციონირების არარსებობის გამო, მას უჩნდება შესაძლებლობა, დატოვოს დაწესებულება. ეს არის სიმპტომი პრობლემის და არა მისი კაუზალური საწყისი. მსგავსი არგუმენტი ვრცელდება საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე. არგუმენტი, რომ ქცევა ქმნის რეციდივის საშიშროებას, ასევე სუსტია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატისტიკურად დანაშაულის ჩადენა ციხიდან გაქცევის დროს ან შემდგომ დაბალია, ასევე სისხლის სამართალი ქმედების პრევენციის საკითხში იშვიათად თუ არის წარმატებული და აქედან გამომდინარე, იმ ადამიანების დასჯა, რომელთა ქცევის პრევენცია არ ხერხდება,

23 მუხლი 379, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=264>> [წვდომის თარიღი 01.11.24].

24 ნაწილი 3, მუხლი 52², საქართველოს პენიტენციური კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=1#DOCUMENT:1>> [წვდომის თარიღი 01.11.24].

25 შეადარე. ლეკვეიშვილი, მ, თოდუა, ნ. და მამულაშვილი, გ., 2017. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 2. თბილისი: მეხუთე გამოცემა. გვ. 537.

26 იხილეთ. Galtung, J., 1958. The Social Functions of a Prison. Oxford University Press Social Problems, 6 (2).

განსაკუთრებულ დასაბუთებას საჭიროებს.²⁷ პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევა არ იწვევს წინა დანაშაულების სანქციის გაუქმებას, როდესაც ადამიანი უბრუნდება დაწესებულებას, ის ჩვეულებრივ აგრძელებს იმ სასჯელის მოხდას, რომელიც მისჯილი ჰქონდა. რაც შეეხება საზოგადოებაში საგამოძიებო და პენიტენციური დაწესებულებების მიმართ უნარობის ეჭვის გაჩენა თანამედროვე ინფორმაციულ ეპოქაში ციხიდან გაქცევის კრიმინალიზებით მიუღწევადია, რადგანაც, როდესაც ციხიდან გაქცევის შემთხვევა მოხდება, მიუხედავად, რამდენად სწრაფად მოხდება ამ ქმედების აღკვეთა, საზოგადოებაში უკვე არის გაჩენილი ეჭვი ორგანოების უნარობის.

წინამდებარე ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ სამართლებრივ სიკეთეებს ნორმა ვერ იცავს, ამასთან ერთად, რომ იცავდეს, მის საპირწონედ დგას ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც არის ამომავალი ლიბერალური საზოგადოების. მონტესკიე როდესაც საუბრობს ქმედების სიმძიმესა და სასჯელს შორის პროპორციულობაზე, ასკვნის, რომ სასჯელი რეალურად მხოლოდ ისეთი ქმედებისთვის უნდა დაინიშნოს, რომელიც ადამიანებისთვის რეალურ ზიანს იწვევს.²⁸ ჯონ სტუარდ მილის აზრით, „ერთადერთი მიზანი, რომელიც გაამართლებდა ძალის გამოყენებას ცივილიზებული საზოგადოების რომელიმე წევრზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, არის სხვებისთვის ზიანის მიყენების აღკვეთა“.²⁹ ციხიდან გაქცევა არ იწვევს იმგვარ ზიანს, რომელიც გაამართლებს მის კრიმინალიზაციას. ასევე ცალკეული ქმედების კრიმინალიზაცია

ნიშნავს ამ ქმედების კანონსაწინააღმდეგოდ გამოცხადებას, მისი ჩაღუნისთვის სანქციის დაწესებას და აკრძალული ქმედების ჩამღუნის გაკიცხვას.³⁰ ციხიდან გაქცევის კრიმინალიზაციით, ნიშნავს, რომ ისეთ ქმედებას ვაცხადებთ კანონსაწინააღმდეგოდ და ვკიცხავთ ადამიანს, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური ნაწილია, თავისუფლებისკენ სწრაფვა.

აქედან გამომდინარე, ლიბერალური დემოკრატიისთვის აშკარაა, რომ დეკრიმინალიზების მიდგომა, რომელიც გავრცელებულია გერმანიაში, გაცილებით დაბალანსებულია და ფილოსოფიურად გამართლებულია, ვიდრე კრიმინალიზების მიდგომა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კრიმინალიზების მიდგომები და მათი ფილოსოფიური და სამართლებრივი გამართლებები. ანალიზისა და მიდგომების შედარების შემდგომ აშკარად ჩანს, რომ ციხიდან გაქცევის დეკრიმინალიზაციის მოდელი გაცილებით მართებულია ლიბერალურ სახელმწიფოში, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ის სახელმწიფოს მიერ დაღვნილი ინტერესების დაცვა, რომელსაც ემსახურება კრიმინალიზაცია, ვერ ხერხდება, და, მეორე მხრივ, საპირწონედ არსებული თავისუფლების სწრაფვის ღირებულება არის ადამიანისთვის ისეთივე ფუნდამენტური, როგორც თვითგადარჩენის ინსტიქტი.

იურიდიული გამონაკლისი და კრიმინალიზაციაზე უარი, რომელსაც გერ-

27 შეადარე. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 77.

28 შეადარე. Montesquieu, J.-J., 1748. The Spirit of the Laws. Books XII. გვ. 189.

29 შეადარე. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker, გვ. 14.

30 შეადარე. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 136.

მანიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობა აწესებს, შეიძლება იყოს მაგალითი ჩვენთვის, უფრო კრიტიკულად ვიფიქროთ ჩვენი კანონების მიმართ და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ისინი არ იყოს ისეთი ეფექტური, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, განსაკუთრებით მაშინ, რო-

დესაც საქმე ეხება პატიმრების დასანჯივრებას გაქცევის მცდელობისთვის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სამართლებრივი სისტემები იყოს სამართლიანი და დაბალანსებული, რათა არავინ არ იყოს არაპროპორციულად მოპყრობილი ან დასჯილი რაიმე ქმედებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე, უ., 2019. სადოქტორო დისერტაცია: კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლეკვეიშვილი, მ, თოდუა, ნ. და მამულაშვილი, გ., 2017. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 2, მეხუთე გამოცემა. თბილისი.
3. Boyle, R., 2015. No prison escapes so far this year in Belgium. The bulletin. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.thebulletin.be/no-prison-escapes-so-far-year-belgium>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
4. Carlson, K. A., 1990. Prison escapes and community consequences: Results of a casestudy. Federal Probation, 54 (2).
5. Correctional Services in Austria" Republic of Austria Federal Ministry of Justice, 2016.
6. Culp, R. F., 2005. Frequency and characteristics of prison escapes in the United States: An analysis of national data. The Prison Journal, 85 (3).
7. Donald, N. A., 2021. Product of Evolution: Selfish Impulse, Instinct, Self-Preservation, or Human Nature.
8. Funk, T. M. and Coie, P., 2023. Prison Reform Must Not Include Decriminalizing Nonviolent Prison Escapes (from The Hill). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf](https://www.jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf)> [წვდომის თარიღი 01.11.24].
9. Galtung, J., 1958. The Social Functions of a Prison, Oxford University Press Social Problems, 6 (2).
10. Gold, J. Z., 1979. Prison Escape and Defenses Based on Conditions: A Theory of Social Preference. California Law Review, 67 (5).
11. Hobbes, T., 2008. Leviathan. Edited by J. C. A. Gaskin. London: Oxford University Press.
12. Locke, J., 1999. Two Treaties of Government. Cambridge University Press.
13. Lott, T., 1982. The Psychology of Self-Preservation in Hobbes. La référence Hobbienne du XVIIe siècle à nos jours 20 (61).
14. Michael, W.H., 1978. Have the Prison Doors Been Opened – Duress and Necessity as Defenses to Prison Escape. Chicago-Kent Law Review, 54 (3).
15. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker.
16. Montesquieu, J. J., 1748. The Spirit of the Laws.
17. Persak, N., 2007. Criminalising Harmful Conduct: The Harm Principle, its Limits and Continental Counterparts, Springer.
18. Peterson, B.E., 2015. Doctoral Dissertation: Inmate-, Incident-, And Facility-Level Factors Associated With Escapes From Custody And Violent Outcomes, City University of New York (CUNY).
19. Sartre, J. P., 1957. Being and Nothingness. translated by Hazel Barnes. London: Methuen.
20. Simester, A. P. and Von Hirsh, A., 2011. Crimes, Harms and Wrongs: On the Principle of Criminalisation. Hart Publishing.
21. Ware, O., 2023. Kant on Freedom. Cambridge University Press.
22. Weiss, R., 1998. Socrates Dissatisfied: An Analysis of Plato's Crito. Oxford University Press.

23. West, T.G., 1979. Plato's "Apology of Socrates". Cornell University Press.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
2. საქართველოს პენიტენციური კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=1>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
3. Code of Virginia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://law.lis.virginia.gov/vacodefull/title1/>> [წვდომის თარიღი 01.11.24].
4. Уголовный кодекс Российской Федерации. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/> [წვდომის თარიღი 01.11.24].

სასამართლო პრაქტიკა:

1. United States v. Johnson, 446 F.3d 1326 (11th Cir. 2006).
2. United States v. Bailey, 444 U.S. 394 (1980).
3. United States v. Hobson, 519 F.2d 765 (9th Cir. 1975).

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Bakhtadze, U., 2019. Doctoral dissertation: Criminological analysis of the criminalization process. Tbilisi State University. (in Georgian)
2. Boyle R., 2015. No prison escapes so far this year in Belgium, the platform for Belgium's international community, the bulletin. [Online] available at: <<https://www.thebulletin.be/no-prison-escapes-so-far-year-belgium>> [Accessed 01.11.24]. (in English)
3. Carlson, K. A., 1990. Prison escapes and community consequences: Results of a case-study. Federal Probation, 54 (2). (in English)
4. Correctional Services in Austria, 2016.Re-

- public of Austria Federal Ministry of Justice. (in English)
5. Culp, R. F., 2005. Frequency and characteristics of prison escapes in the United States: An analysis of national data. The Prison Journal, 85 (3). (in English)
 6. Donald, N, A., 2021. Product of Evolution: Selfish Impulse, Instinct, Self-Preservation, or Human Nature. (in English)
 7. Funk, T. M. and Coie, P., 2023. Prison Reform Must Not Include Decriminalizing Nonviolent Prison Escapes (from The Hill). [Online] available at: <[jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf](https://www.jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf)> [Accessed 01.11.24]. (in English)
 8. Galtung, J., 1958. The Social Functions of a Prison, Oxford University Press. Social Problems, 6(2). (in English)
 9. Gold, J. Z., 1979. Prison Escape and Defenses Based on Conditions: A Theory of Social Preference. California Law Review, 67(5). (in English)
 10. Hobbes, T. 2008. Leviathan. Edited by J. C. A. Gaskin. London: Oxford University Press. (in English)
 11. Lekveishvili, M., Todua, N. and Mamulashvili, G., 2017. Special part of criminal law. book 2. Tbilisi fifth edition. (in Georgian)
 12. Locke, J., 1999. Two Treaties of Government. Cambridge University Press. (in English)
 13. Lott, T, 1982. The Psychology of Self-Preservation in Hobbes, La référence Hobbienne du XVIIe siècle à nos jours, 20(61). (in English)
 14. Michaels, W.H., 1978. Have the Prison Doors Been Opened – Duress and Necessity as Defenses to Prison Escape. Chicago-Kent Law Review Volume, 54 (3). (in English)
 15. Mill, J. S., 1859. On Liberty. London: Parker. (in English)
 16. Montesquieu, J. J., 1748. The Spirit of the Laws. (in English)
 17. Persak, N., 2007. Criminalising Harmful Conduct: The Harm Principle, its Limits and Continental Counterparts, Springer. (in English)
 18. Peterson, B.E., 2015. Doctoral Dissertation: Inmate-, Incident-, And Facility-Level Factors Associated With Escapes From Custody And Vio-

- lent Outcomes, City University of New York (CUNY). (in English)
19. Sartre, J. P., 1957, Being and Nothingness. translated by Hazel Barnes London: Methuen. (in English)
 20. Simester, A. P. and Von Hirsh, A., 2011. Crimes, Harms and Wrongs: On the Principle of Criminalisation. Hart Publishing. (in English)
 21. Ware, O., 2023. Kant on Freedom. Cambridge University Press. (in English)
 22. Weiss, R., 1998. Socrates Dissatisfied: An Analysis of Plato's Crito. Oxford University Press. (in English)
 23. West, T.G., 1979. Plato's "Apology of Socrates". Cornell University Press. (in English)

Normative Materials:

1. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=269> [Accessed 01.11.24]. (in Georgian)
2. Penitential Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=1> [Accessed 01.11.24]. (in Georgian)
3. Code of Virginia. [Online] available at: <https://law.lis.virginia.gov/vacodefull/title1/> [Accessed 01.11.24]. (in English)
4. Criminal Code of the Russian Federation. [Online] available at: https://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/ [Accessed 01.11.24]. (in Russian)

Judicial Practice:

1. United States v. Johnson, 446 F.3d 1326 (11th Cir. 2006). (in English)
2. United States v. Bailey, 444 U.S. 394 (1980). (in English)
3. United States v. Hobson, 519 F.2d 765 (9th Cir. 1975). (in English)

ფორსმაჟორის სამართლებრივი გამოყენების და პრაქტიკული გამოწვევების პრობლემატიკა პანდემიის პირობებში

სალომე მეგენიშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა: Megeneishvilisalome@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია განიხილავს პანდემიის სამართლებრივ ბუნებას, როგორც ფორსმაჟორული გარემოების კონტექსტში და მასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პანდემიის გავლენას სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე, რაც აქტუალური გახდა COVID-19-ის პანდემიის დროს. პანდემია, როგორც ადამიანის კონტროლს მიღმა არსებული, მოულოდნელი და გარდაუვალი მოვლენა, ხშირად განიხილება ფორსმაჟორის მაგალითად, რომელიც სამართლებრივად ამართლებს ვალდებულებების შეუსრულებლობას. სტატია განიხილავს სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებიც პანდემიის სამართლებრივ აღქმას არეგულირებს. ასევე, ხაზგასმულია კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და პანდემიის ფორსმაჟორად აღიარების აუცილებლობა, რომელიც სამართლებრივი სუბიექტების დაცვასა და კანონმდებლობის მეტი ლოგიკურობის მიღწევას შეუწყობს ხელს.

განსაზღვრულია პანდემიის კავშირი დაუძლეველ ძალასთან (ფორსმაჟორთან) და აღნიშნულია, რომ პანდემიით გამოწვეული მოვლენები ხშირად წარმოადგენენ საფუძველს სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

სტატიაში განხილულია, თუ რამდენად შესაძლებელია პანდემიის აღიარება ფორსმაჟორად და შემოთავაზებულია კანონმდებლობის გაფართოებისა და დახვეწის აუცილებლობა, რათა აღნიშნული მოვლენა სათანადოდ აღიქმებოდეს და გააზრებული იყოს, როგორც განსაკუთრებული სამართლებრივი გარემოება, რომელიც შეუწყობს ხელს ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლებრივი ლოგიკურობის და სრულყოფილების მიღწევას.

საკვანძო სიტყვები: დაუძლეველი ძალა, შეცვლილი გარემოება, სახელშეკრულებო ურთიერთობა

THE CHALLENGES OF THE LEGAL CONCEPT AND APPLICATION OF FORCE MAJEURE DURING THE PANDEMIC

Salome Megeneishvili

PHD Student of the Faculty of law at Davit Agmashenebeli University of Georgia, Georgia, Tbilisi

Email: Megeneishvilisalome@gmail.com

საქართველოს იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი

ABSTRACT

This article examines the pandemic and its significance in the context of force majeure circumstances, focusing on its legislative regulation under both national and foreign legal systems. It analyses the legal nature of the pandemic as an event beyond human control that significantly hinders legal entities from fulfilling their obligations. Special attention is paid to the impact of pandemics on the performance of contractual obligations, an issue that gained significant relevance during the COVID-19 pandemic. A pandemic, as an unforeseen, unavoidable, and uncontrollable event, is often recognized as a form of force majeure that legally justifies the non-performance of obligations. The article reviews the legislation of various countries and the norms of international law governing the legal perception of pandemics. It also emphasizes the need for legislative improvements and the recognition of pandemics as force majeure to enhance the protection of legal entities and ensure greater coherence in legislation.

The discussion highlights the challenges of recognizing the pandemic as an irresistible force, as well as the key aspects arising from the pandemic that serve as grounds for non-performance of contractual obligations.

The article explores whether the pandemic can be categorically regarded as a force majeure event and proposes the need to incorporate the legal prerequisites for recognizing the pandemic into legislation. This approach aims to refine and enhance national legal frameworks.

KEYWORDS: Irresistible force, Altered circumstance, Contractual relations

შესავალი

2020 წლის დასაწყისიდან ჩინეთის საზღვრებში დაწყებული ვირუსის გავრცელებამ ახალ, სრულიად უცხო რეალობისა და საინტერესო გამოწვევის წინაშე დააყენა მსოფლიო. არ დარჩენილა სფერო, რომელსაც ცვლილება არ შეხებია: ჯანდაცვა, ეკონომიკა, სამართალი და ყოველდღიური ცხოვრების წესები მოულოდნელად შეიცვალა, რაც ახალი რეალობის მიღებას მოითხოვდა. ნებისმიერი კრიზისი კი მომტანია ახალი შესაძლებლობების. სტატია ეხება პანდემიის, როგორც დაუძლეველი ძალის, თემატიკას, განიხილავს მის ბუნებას და იკვლევს ფორსმაჟორის სამართლებრივ გამოყენებას და მის პრაქტიკულ პრობლემებს, პანდემიის პირობებში.

პანდემიამ არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური სისტემების სისუსტეები გამოავლინა, არამედ არსებითად შეცვალა სამართლებრივი სივრცეც. ამ გარდამტეხმა მოვლენამ განაახლა დაუძლეველი ძალის – ფორსმაჟორის¹ მნიშვნელობა, რომელიც სამართლებრივად განსაკუთრებული სიტუაციების მართვის მექანიზმად გამოიყენება.

ფორსმაჟორის კონცეფცია რომის სამართალში იღებს სათავეს, სადაც აღიარებული იყო გამონაკლისი სიტუაციების იდეა, თუმცა კონკრეტული ტერმინი მაშინ არ გამოიყენებოდა. შუა საუკუნეებში

ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ფორსმაჟორული დებულებები კონტრაქტების განუყოფელ ნაწილად იქცა. გაუთვალისწინებელი მოვლენების რისკის მართვა, იქნება ეს სტიქიური უბედურებები, ომები თუ პოლიტიკური დაძაბულობა, გლობალური ვაჭრობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის აუცილებელი ნაწილი გახდა.

კოვიდ-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ფორსმაჟორზე, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენებაზე, კონტრაქტების დაცვისა და გადახედვის პროცესში. ეს მოვლენა გვაიძულებს გადავხედოთ არა მხოლოდ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოებს, არამედ თავად ფორსმაჟორის არსს და მის ინტერპრეტაციას პანდემიის პირობებში.

1. ფორსმაჟორი და პანდემია, სამართლებრივი განსაზღვრება

ტერმინი „ფორსმაჟორის“ ფორმალურად მოხდა ნაპოლეონის კოდექსით (1804 წ.) საფრანგეთში². ამ საკანონმდებლო ბაზამ გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის სახელმწიფოებო კანონებზე.

დროთა განმავლობაში ფორსმაჟორის დოქტრინული გაგება გაფართოვდა, სამართლოები იყენებდნენ მას არა მხო-

1 „გაუთვალისწინებელი საგანგებო ვითარება (მიწისძვრა, წყალდიდობა და მისთ.), რის გამოც პირი, რომელმაც ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თავისუფლდება ქონებრივი პასუხისმგებლობისგან, ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია“. ელექტრონული ქართული ლექსიკონი. ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98>> [წვდომის თარიღი 25.10.2024].

2. ჩიტაშვილი, ნ., 2014. სადოქტორო დისერტაცია. შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებაზე და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 34. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf> [წვდომის თარიღი 18.10.2024].

ლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების საგნის განადგურებით შეუძლებელი ხდებოდა, არამედ, როდესაც ანულირდებოდა მხარეების სახელშეკრულებო ინტერესი ან/და დადებული ხელშეკრულება მიზანს კარგავდა, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულება ობიექტურად კვლავ განხორცილებადი შეიძლება ყოფილიყო.

პანდემია-ეპიდემიის³ კონცეფციას ვხვდებით უძველესი ცივილიზაციებიდან⁴. მე-19 საუკუნისათვის დაავადებათა და მათი გადაცემის მეცნიერული გაგება განვითარდა, რამაც გამოიწვია ეპიდემიების უფრო მკაფიო განმარტების წარმოქმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტექსტში.

ტერმინები – „ეპიდემია“ და „პანდემია“, ორივე ეხება დაავადების გავრცელებას, მაგრამ ისინი ძირითადად განსხვავდებიან თავიანთი მასშტაბით: ეპიდემია ეხება დაავადების შემთხვევების რაოდენობის უეცარ ზრდას, იმაზე მეტს, ვიდრე ჩვეულებრივ მოსალოდნელია კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ან პოპულაციაში (მაგ: მოიცავს გრიპის

სეზონურ გავრცელებას, ან ებოლას და მსგავსი დაავადებების ლოკალიზებულ აფეთქებებს.), ხოლო პანდემია უფრო მასშტაბური მოვლენაა, რომელიც ვრცელდება მრავალ ქვეყანაში ან კონტინენტზე და აზარალებს ადამიანების გაცილებით დიდ ოდენობას და იგი მიუთითებს გლობალურ ჯანმრთელობაზე გავლენის მაღალ დონეზე (მაგ: 1918 წლის გრიპის პანდემია ან COVID-19, რომელმაც მილიონობით ადამიანი დააზარალა მთელ მსოფლიოში). მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტერმინი აღწერს დაავადების გავრცელებას, ეპიდემია უფრო ლოკალური, ხოლო პანდემია ფართოდ გავრცელებული და გლობალური მოვლენაა.

იურიდიულ კონტექსტში კი როგორც ეპიდემია, ისე პანდემია შეიძლება მიუთითებდეს სიტუაციებზე, დაუძლეველ ძალაზე, როდესაც დაავადების გავრცელება გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე ან კეთილდღეობაზე, რომლებიც იწვევს სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ: ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ სა-

3 ტერმინი „ეპიდემია“ სათავეს ძველ ბერძნულში იღებს. მომდინარეობს სიტყვიდან "ეპიდემია", რაც ნიშნავს "დაავადებას ფართოდ გავრცელებას". Torrey,T., Infectious Diseases. Epidemic vs. Pandemic: What Are the Differences? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.verywellhealth.com/epidemic-vs-pandemic-2615168>> [წვდომის თარიღი 20.10.2024].

4 ჰიპოკრატე (ძვ. წ. 460-377 წწ), რომელსაც ხშირად მედიცინის მამას უწოდებენ. ე.წ. „ჰიპოკრატეს კრებულში“ გამოყენებულია მრავალი სამედიცინო ტერმინოლოგია. მათ შორისაა ტერმინი „ეპიდემია“. ქართული სამედიცინო ინტერნეტ-ქსელი. სამედიცინო ტერმინოლოგიის ისტორია. სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორია და თანამედროვე ტენდენციები. სამედიცინო ტერმინოლოგიის „ევროპული ხაზის“ ისტორია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://edu.medgeo.net/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2/>>> [წვდომის თარიღი 19.10.2024]. შუა საუკუნეებში ტერმინი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, კერძოდ, შავი ჭირის დაავადებების გავრცელების დროს, რომელიც წარმოადგენდა „ბნელ აჩრდილს, რომელმაც ევროპის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მოსპო“. ჭაბუკაშვილი, მ., 2022. თბილისი: Nature. მომზადებულია ScienceAlert_ის მიხედვით. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://1tv.ge/news/mecnierebma-shavi-chiris-warmoshobis-yvelaze-savaraudo-adgils-miagnes-1tvmechiereba/>> [წვდომის თარიღი 19.10.2024].

ზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონები ეპიდემიის დროს, რათა განახორციელონ ისეთი ზომები, როგორებიცაა: კარანტინი, სავალდებულო ვაქცინაცია, ლოკალური თუ მასშტაბური შეზღუდვები (მაგ: მოგზაურობის აკრძალვა), დაავადების გავრცელების გასაკონტროლებლად; ბ) შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი საკითხები დაუდევრობის გამო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, თუ მხარე არ მიიღებს გონივრულ ზომებს დაავადების გავრცელებისგან დასაცავად, განსაკუთრებით ჯანდაცვის დაწესებულებებში ან საჯარო სივრცეებში; გ) ეპიდემია-პანდემიამ შეიძლება გამოიწვიოს ფორსმაჟორული დებულებები კონტრაქტებში, რომლებიც მხარეებს საშუალებას აძლევს, გაამართლონ შეუსრულებლობა, პანდემიით გამოწვეული გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო.

სამოქალაქო სამართლის სისტემებში ძალიან ცოტა იურისდიქციას აქვს კონკრეტული მუხლი, რომელიც მხოლოდ „პანდემიას“ ეძღვნება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანას აქვს დებულებები თავიანთ საკანონმდებლო ჩარჩოებში, რომლებიც ეხება პანდემიას უფრო ფართო ტერმინებით, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელ სიტუაციებთან, ფორსმაჟორთან, ან მსგავს ცნებებთან. მაგ: გერმანიის სამოქალაქო სამართალში არ არსებობს კონკრეტული მუხლი, რომელიც მხოლოდ „პანდემიას“ ეძღვნება. სამაგიეროდ პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად განიხილება არსებული სამართლებრივი კონცეფციების ფარგლებში, როგორიცაა ფორსმაჟორი ("höhere Gewalt")⁵.

გერმანიის მთავრობამ შემოიღო კონკრეტული კანონმდებლობა, COVID-19 პანდემიის დროს, რომელიც გავლენას ახდენდა სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე, რომლებიც ხაზს უსვამს ადაპტაციის აუცილებლობას საგანგებო ვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ არც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს არ აქვს სპეციალური მუხლი გამოყოფილი პანდემიისთვის, იგი მოიცავს დებულებებს ფორსმაჟორთან და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეპიდემიის დროს. საფრანგეთის მსგავსად იტალიას აქვს დებულებები, რომლებიც ეხება საგანგებო მოვლენებს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისებს, მაგრამ არა ცალკე მუხლი, რომლითაც სპეციალურად პანდემიის დროს წარმოქმნილი ურთიერთობები რეგულირდება. მსგავსად წესრიგდება აღნიშნული საკითხი ესპანეთის სამოქალაქო კოდექსითაც.

ფაქტია, რომ ქვეყნები ხშირად ადაპტირებენ არსებულ საკანონმდებლო ცნებებს, პანდემიით გამოწვეული გამოწვევების გადასაჭრელად, ვიდრე ცალკეული სამართლებრივი მუხლების შექმნით.

2. სახელშეკრულებო ვალდებულებები და ფორსმაჟორი

„ფორსმაჟორი“ და „პანდემია“ დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული ცნებებია, რომლებიც ხშირად გვხვდება იურიდიულ და სახელშეკრულებო კო-

5 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე მუხლის თანახმად, მხარე შეიძლება განთავისუფლდეს შესრულებისგან, თუ მათ კონტროლის მიღმა მოვლენა შეუძლებელს გახდის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. German Civil Code. BGB. the version promulgated on 2 January 2002. (Federal Law Gazette [Bundesgesetzblatt] Federal Law Gazette. გვ. 45-46. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.pdf [წვდომის თარიღი 17.10.2024].

ნტექსტში. „ფორსმაჟორი“ არის სამართლებრივი პუნქტი, რომელიც ათავისუფლებს მხარეებს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებისაგან, როდესაც საგანგებო მოვლენები ხელს უშლის მათ სახელშეკრულებო მოვალეობების შესრულებას, მაგ.: კომპანიების, “Herbert”-ის და “Hesperia”-ს შორის არსებული შეთანხმება მოიცავდა ღონისძიების ორგანიზებას, რომელიც უნდა ჩატარებულიყო კონკრეტულ თარიღზე. COVID-19-ის პანდემიის გამო ქვეყნის მასშტაბით დაწესებულ იქნა შეზღუდვები, რომლებიც შეუძლებელს ხდიდა ღონისძიების ჩატარებას. “Herbert”-მა მოითხოვა, რომ “Hesperia”-ს შეესრულებინა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, მაშინ, როცა “Hesperia” აცხადებდა, რომ ღონისძიების ჩატარება შეუძლებელი იყო მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, რამაც გამოიწვია „ფორსმაჟორის“ მდგომარეობა. სასამართლომ დაადგინა, რომ COVID-19-ის შედეგად შექმნილი ვითარება მიეკუთვნებოდა ფორსმაჟორის კატეგორიას, რაც იმას ნიშნავს, რომ “Hesperia” გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან. სასამართლო მიიჩნევს, რომ პანდემიის შედეგად გამოწვეული სიტუაცია ძალზე განსაკუთრებული იყო, რაც წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელიც შეუძლებელს ხდის ვალდებულებების შესრულებას. „Herbert v. Hesperia“-ს საქმე წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს, რომელიც აჩვენებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფორსმაჟორის პრინციპი სამართლებრივი დავების დროს COVID-19-ის პირობებში. სასამართლო პრაქტიკა ამ საქმეში ხაზს

უსვამს, რომ პანდემიის ეფექტები ქმნის სამართლებრივი პასუხისმგებლობების შეზღუდვის საფუძველს, რომელიც აუცილებელია მხარეებს შორის კეთილსინდისიერი და სამართლიანი ურთიერთობების შენარჩუნებისთვის.⁶

პანდემიის ერთიანი იურიდიული განმარტების არ არსებობის პირობებში, სხვადასხვა ქვეყნების შედარებითი სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება შევჯერდეთ იმ აზრზე, რომ პანდემიამ შეიძლება აამოქმედოს ფორსმაჟორული დებულებები, თუ ისინი ხელს უშლიან ბიზნეს ოპერაციებს, კონტრაქტების შესრულებას.⁷

ფორსმაჟორი არის იურიდიული კონცეფცია, ხოლო პანდემია არის სპეციფიკური ჯანმრთელობის კრიზისი, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ პანდემიამ შეიძლება აიძულოს მთავრობები, მიიღონ კანონები და რეგულაციები კრიზისის მართვისთვის, მაგ.: როგორცაა საკარანტინო ზომები ან მოგზაურობის შეზღუდვები. კონკრეტული სამართლებრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციის მიხედვით, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ კანონებსა და პრეცედენტებზე.

ფაქტია, რომ პანდემიის გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობების კანონზომიერებებში აისახება, შესაბამისად, დღის წესრიგში დგება სახელშეკრულებო ურთიერთობების გადახედვა ცვლილებების პროპორციულად. პანდემიით გამოწვეული შეცვლილი გარემოებების შედეგად აქტუალური გახდა ხელშეკრულებების მოდიფიცირების საჭიროება. შესაბამისმა მოდიფიცირებამ განსაკუთრებით აქტუალური გახდა რისკების სწორი

6 Bisco, J.M., Fier, S.G. and Pooser, D.M., 2020. Journal of Insurance Regulations. Business Interruption Insurance Claims During COVID-19: What You Need to Know. American Bar Association. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://content.naic.org/sites/default/files/jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf>> [წვდომის თარიღი 1.11.2024].

7 მაგ.: H1N1 გრიპის აფეთქება და 1918 წლის გრიპის პანდემია, უახლესი მაგალითი COVID-19.

შეფასება და გათვალისწინება, როდესაც არსებული ხელშეკრულებით ზუსტად არ არის გაწერილი შესაბამისი გარემოებების დადგომის დროს მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

3. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა

სახელშეკრულებო ურთიერთობებში პანდემია შეიძლება მოხდეს ფორსმაჟორულ პუნქტში, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს, გამოიყენონ იგი შესრულებლობის გასამართლებლად.

ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ფორსმაჟორული გარემოება სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ წარმოადგენს ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, თუ, რა თქმა უნდა, ვალდებულების შესრულება ფორსმაჟორულ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგაც შესაძლებელია და, თუ აღნიშნული შესრულების მიმართ კრედიტორს ინტერესი არ დაუკარგავს.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო წყვეტს – არის თუ არა სახეზე ვალდებულების შესრულებლობა ფორსმაჟორული ვითარების გამო. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი და იგივე გარემოება შეიძლება ერთ შემთხვევაში მიჩნეულ იქნეს ფორსმაჟორულად, მეორე შემთხვევაში კი – არა.⁸

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, პანდემიით გამოწვეული ვალდებულების

შესრულებლობის შემდეგი მახასიათებლებია:

1. გარე მოვლენის ექსტრემალური დადგომა;
2. გარე მოვლენის წარმოშობა გასცდა ვალდებულების (ტიპიურ) კონტროლის სფეროს;
3. მოვლენის გარდაუვალობა და არაპროგნოზირებადი შედეგები: უარყოფითი ზეგავლენა მოვალეობის შესრულების უნარზე, გონივრულად არ შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა ან გადალახულიყო მხარის მიერ, მაგ.: შესრულების, შესყიდვის ან ტრანსპორტირების ალტერნატიული ზომები. გარე მოვლენები, როგორც წესი, არაპროგნოზირებადია;
4. მიზეზობრიობა („conditio sine qua non“)⁹ ვალდებულების შესრულებლობა, „რეალობის საკითხი“ გამოწვეული იყო გარე მოვლენით და არა ვალდებულების საკუთარი ბრალით (მაგ.: მიაწოდა დეფექტური საქონელი ან შეფუთვა), რომ არა ფორსმაჟორული სიტუაცია, დაზარალებული მხარე არავითარ შემთხვევაში არ მიაწოდებდა ამგვარი დეფექტით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებინა ან თავიდან აერიდებინა გარკვეული მოვლენის დადგომა, მაშინ, იმისდა მიუხედავად, რომ მოვლენა ობიექტურად გლობალურია და ხელს უშლის ვალდებულების შესრულებას, ის მაინც ვერ მიიჩნევა ფორსმაჟორულად. ამ მხრივ შესაფასებელია, ჩაითვლება თუ არა წინდახედულობის დარღვევად შემთხვევა, როდესაც, მაგ.: პირი არ იცავს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს COVID-19-თან დაკავშირებით და შედეგად დადგება გარემოება, რის გამოც

8 ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2020. ეპიდემიის გამო შესაძლოა თუ არა აღმოვჩნდეთ ე. წ. ფორს-მაჟორის მდგომარეობაში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/post/epidemiis-gamo-shesadzloa-tu-ara-aghmovchndet-e-ts-fors-mazhoris-mdgomareobashi> [წვდომის თარიღი 22.10.2024].

9 ლათ: აუცილებელი პირობა.

მხარე ვალდებულებას ვეღარ ასრულებს.¹⁰

განხილულიდან გამომდინარე, პანდემიის ფორსმაჟორად მიჩნევისთვის აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემდეგი წინაპირობები, კერძოდ: გარემოების გათვალისწინება და მისი თავიდან აცილება შეუძლებელი უნდა იყოს, გარემოებამ უშუალოდ უნდა გამოიწვიოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და გარემოება უნდა იყოს უჩვეულო და მხარის კონტროლს მიღმა წარმოშობილი.

იურიდიულ დოქტრინებში არსებობს არატიპიური „გარე“ ფორსმაჟორული მოვლენების ჩამონათვალი, მაგალითად, როგორებიცაა: „მეკობრეობა“¹¹ ან „ტერორისტული აქტებისა და ტერორისტული თავდასხმების სერიოზული საფრთხე“¹² და მსგავსი ხასიათის ნებისმიერი მოვლენა. ეს ფორმულირება ცხადყოფს, რომ ფორსმაჟორული მოვლენების სია არასრულია.

პანდემიის, როგორც ფორსმაჟორული მოვლენის, სამართლებრივი შედეგების შეფასება გრძელდება, კერძოდ, ბევრ ბიზნესს მოუწია გამოყენებინა ფორსმაჟორული გარემოება, რათა თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის,

ან წამოიწყეს ხელახალი მოლაპარაკება მორგებული პანდემიის დროს შესაბამის პირობებზე – ჩაკეტვის, მიწოდების ჯაჭვის საკითხებისა და ჯანმრთელობის რეგულაციების პირობებით გამოწვეული, შეფერხებების გამო სახელშეკრულებო ურთიერთობების შეცვლილი გარემოებების ზემოქმედების ასპექტში.

გერმანული სასამართლო განიხილავდა, როგორ უნდა შეფასდეს ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა COVID-19-ის პირობებში. სასამართლომ დაადგინა, რომ ახალ გარემოებებს უნდა მიენიჭოს ფორსმაჟორის სტატუსი, რომელიც საშუალებას აძლევდა მხარეებს ხელშეკრულების პირობების შეცვლას.¹³

ეს სასამართლო ქეისები სხვადასხვა იურისდიქციებსა და სისტემებში აჩვენებს, როგორ ემსახურებიან სასამართლოები პანდემიით გამოწვეულ გამოწვევებს, რომლებიც მხარეებს ეხმარება, შეინარჩუნონ სამართლებრივი ურთიერთობები და მოახდინონ ხელშეკრულებების ადაპტაცია ახალ გარემოებებზე.

გერმანული სამართლის მიხედვით COVID-19-ის ფორსმაჟორული ხასიათისა და ხელშეკრულების შესრულების სამართლებრივი ასპექტების შესახებ რამდე-

10 PwC საქართველოს იურიდიული პრაქტიკის გუნდი. 2020. COVID-19 ძირითადი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ კომპანიებმა COVID-19-ის დროს. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues\(GEO\)_Updated_22_March.pdf](https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues(GEO)_Updated_22_March.pdf)> [წვდომის თარიღი 17.10.2024].

11 იხ. მუხლი 101-ე, საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენცია. გლობალური საზღვაო ტრანსპორტის მიმართ, საზღვაო სამაჩთის შესახებ გაეხოს კონვენცია. 1982. 101-ე მუხლი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf> [წვდომის თარიღი 12. 11. 2024].

12 ფორსმაჟორული მოვლენების სია შესაძლებელია გაფართოვდეს კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მაგალითად, თანამედროვე პრაქტიკაში, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ბევრმა კომპანიამ გადახედა ფორსმაჟორის დებულებებს, რომ მოეცვათ ახალი გლობალური რისკები, როგორიცაა ბიოლოგიური საფრთხეები, კიბერშეტევები და გლობალური მასშტაბის ეკონომიკური კრიზისები.

13 Brent, d., 2021. Business Interruption Insurance Claims During COVID-19: What You Need to Know. American Bar Association. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rqn.com/business-interruption-insurance-and-covid-19-what-you-need-to-know/>> [წვდომის თარიღი 05.11.2024].

ნიმე მნიშვნელოვანი საქმე არსებობს. ერთ-ერთ საქმეში გერმანიის უზენაესი სასამართლო განიხილავდა მშენებლობის ხელშეკრულების შესრულების საკითხს, სადაც პანდემიის გამო მიწოდების და საშუალების შეფერხებას ჰქონდა ადგილი. სასამართლომ დაადგინა, რომ COVID-19-ის გავლენა შესაძლოა მიიჩნეოდა ფორსმაჟორად, რომელიც საშუალებას აძლევდა ერთ-ერთ მხარეს დროებით შეეჩერებინა ვალდებულებების შესრულება.

საქმეში სასამართლომ მოითხოვა COVID-19-ის გავლენის შეფასება კომერციული კონტრაქტების შესრულების კონტექსტში. სასამართლო ფიქრობდა, რომ პანდემიის გამო წარმოქმნილი ვითარება ხდიდა გარკვეულ ვალდებულებებს რთულად შესასრულებელს, ამიტომ აუცილებელი იყო მათთვის მოქნილობის უზრუნველყოფა.

პანდემიის სამართლებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგადად სასამართლოები მხოლოდ ცალკეულ გარემოებებსა და კონტრაქტულ პირობებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უფრო სერიოზულად განსაზღვრავს ფორსმაჟორის დოქტრინის გამოყენებას.¹⁴ სასამართლო პრაქტიკა განიხილავს ასევე ისეთ შემთხვევებს, როდესაც, მართალია, პანდემია ქმნის ფინანსურ სიძნელეს, მაგრამ არ შეუძლია პირდაპირ გაათავისუფლოს ქირავნობის გადახდისგან. პანდემიის პირობებში, როდესაც ეკონომიკური გარემოებები იცვლება, ამ დოქტრინის¹⁵ გამოყენება შეიძლება იყოს აუცილებელი იმისათვის, რომ ქირავნობის ხელშეკრულება დარჩეს გონივრულად შესრულებადი. რაც შეიძლება იყოს ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალება, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ მათი ურთიერთვალდებულების გაუქმება ან გადავადება.

პანდემიის შემოქმედების სამართლებრივი შედეგები ესპანეთში კვლავ გადახედვის პროცესშია, განსაკუთრებით იმ კონტრაქტებში, რომლებიც ფორსმაჟორს ეხება. რიგ საქმეებში პანდემია ვერ იქნება ცხადად და ავტომატურად აღიარებული, როგორც ფორსმაჟორი, რადგან საჭიროა, რომ მხარეებმა შეძლონ კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც ცხადად დაადასტურებს, რომ პანდემიის გავლენა პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულების შესრულების შეჩერებასთან.¹⁶

პანდემია წარმოადგენს მნიშვნელოვანი სამართლებრივი გამოწვევების წყაროს, რომელიც საჭიროებს ხელშეკრულების შესრულების სამართლებრივი ჩარჩოების გადახედვას. მხარეებს შორის ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა არის აუცილებელი, რათა ხელი შეუწყონ სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტას და ადაპტირდნენ ახალ გარემოებებში.

საერთო ჯამში, COVID-19-ის პანდემია არის მნიშვნელოვანი თანამედროვე მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება

4. სამართლებრივი რეგულაციების განვითარება და მომავალი პერსპექტივები

საერთო ჯამში, COVID-19-ის პანდემია არის მნიშვნელოვანი თანამედროვე მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება

14 Klein, S., 2021. "COVID-19 und die Folgen für das Vertragsrecht: Eine Analyse der Rechtsprechung." Zeitschrift für Zivilrecht, 30 (3), გვ. 157. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rsw.beck.de/zeitschriften/covur>> [წვდომის თარიღი 2.10.2024].

15 იმედგაცრუების დოქტრინა (Störung der Geschäftsgrundlage).

16 Martínez, C., 2021. Force Majeure in the Context of COVID-19: Legal Implications in Spain. Spanish Journal of Law, 12 (1), გვ. 27. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.perezllorca.com/wp-content/uploads/2020/07/thomson-reuters-covid-19-and-force-majeure-in-spanish-contracts.pdf>> [წვდომის თარიღი 10.10.2024].

ფორსმაჟორული დებულებები პრაქტიკაში, რომელმაც შეცვალა იურიდიული და ბიზნეს ლანდშაფტი. COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამოქალაქო სამართლის სისტემებში კონტრაქტებზე, რომლებმაც გამოიწვიეს სხვადასხვა სამართლებრივი მოსაზრებების ადაპტაცია, პანდემიამ აიძულა ამ პუნქტების გადახედვა, რათა დადგინდეს, კვალიფიცირდება თუ არა პანდემია, როგორც ფორსმაჟორული მოვლენა. სასამართლოებს და სამართლებრივ სისტემებს მოუწიათ ინტერპრეტაცია, თუ რა წარმოადგენს ფორსმაჟორულ მოვლენას COVID-19-თან დაკავშირებით, ადგილობრივი კანონების ურთიერთმიმართების როლს კონკრეტული ხელშეკრულების სპეციფიკური ფორმულირების და პანდემიის გავლენის სიმძიმის შესაბამისად.

სამოქალაქო სამართალში თუ შესრულება შეუძლებელი ხდება მხარის კონტროლის მიღმა გარემოებების გამო, ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. სასამართლოებმა უნდა შეაფასონ, შეუძლებელი გახდა თუ არა პანდემიამ ხელშეკრულების შესრულება.

შეიძლება ითქვას, რომ გარემოებათა ცვლილების დოქტრინა (Rebus Sic Stantibus¹⁷) იძლევა ხელშეკრულების მოდიფიკაციის საშუალებას. მოულოდნელი ცვლილებები ძირითადად ცვლის სახელშეკრულებო ბალანსს. მხარეებმა შეიძლება მოითხოვონ ხელახლა მოლაპარაკება პირობებზე, თუ პანდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მათ შესაძლებლობებზე.

